



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2022 წლის 29 ნოემბერი

**დისციპლინური საქმეები №112/22
მოსამართლე --- მიმართ**

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2022 წლის 27 ივნისის №112 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 29 ივნისის №366/112-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ და განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

სამოქალაქო საქმის მასალების წარმოდგენა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში დროულად ვერ მოხერხდა, ვინაიდან მოსამართლე --- -- ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო იმყოფებოდა შვებულებაში. ამდენად, 2022 წლის 7 აგვისტოს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეჩერების შესახებ. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში საქმის მასალების წარმოდგენის შემდეგ, დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით განახლდა დისციპლინური სამართალწარმოება.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე აჭიანურებს საქმის განხილვას. კერძოდ, სამჯერ გადადო სხდომა ისეთ ვითარებაში, როცა არ არსებობდა საქმის განხილვის გადადების კანონით გათვალისწინებული საფუძველი და -- მუნიციპალიტეტის მერიიდან ორჯერ გამოითხოვა დოკუმენტები, რათა გაჭიანურებულიყო საქმის განხილვა. ამასთან, მოსამართლემ დღემდე არ გადააგზავნა სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილი კერძო საჩივარი.

1.2. საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერებას და აცხადებს, რომ შუამდგომლობის დაკმაყოფილებით მოპასუხე მხარეს დაეხმარა შვილად აყვანის საბუთების მოპოვებაში.

1.3. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ სხდომის დაწყებისას მხარეებს არ განუმარტა ვინ იყო სხდომის მდივანი და ჰქონდათ თუ არა მხარეებს აცილების შუამდგომლობა. ამასთან, მოსამართლემ ყოველგვარი განმარტების გარეშე დანიშნა საქმეზე მთავარი სხდომა, თუმცა 2022 წლით

დათარიღებულ ყველა სხდომის ოქმში სასამართლოს მთავარი სხდომის ნაცვლად მითითებული აქვს - სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2020 წლის 17 ივნისს -- -- განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით. 2020 წლის 19 ივნისს სასამართლომ მიიღო განჩინება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე განცხადების დასაშვებად ცნობის შესახებ.

სასამართლოს სხდომები გაიმართა 2021 წლის 10 ივნისს, 2022 წლის 12 აპრილს და 11 მაისს.

2021 წლის 21 ივნისსა და 14 ივლისს -- -- წარმომადგენელმა საქმეზე მტკიცებულების დართვის შესახებ განცხადებები წარადგინა სასამართლოში. ხოლო, 22 ივნისს -- -- წარმომადგენელმა მტკიცებულებების გამოთხოვისა და საქმეზე მტკიცებულებების დედნის დართვის შესახებ განცხადება წარადგინა სასამართლოში.

2021 წლის 15 სექტემბერს სასამართლომ მიიღო განჩინება მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ. კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან გამოთხოვილ იქნა -- -- გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც დაკმაყოფილდა -- -- განცხადება -- -- (-- --) შვილად აყვანის შესახებ. ასევე, ინფორმაცია -- -- მიერ -- -- რეგისტრირებული დაბადების №-- აქტის ჩანაწერში მითითებული -- -- და განმცხადებელი -- -- წარმოადგენს თუ არა ერთიდაიგივე პირს და -- -- გარდაცვლილი -- -- შვილს.

2021 წლის 6 ოქტომბერს და 15 ნოემბერს -- -- წარმომადგენელმა მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობები წარადგინა სასამართლოში. 2021 წლის 15 ოქტომბერს სასამართლომ მიიღო განჩინება მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ. კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან გამოთხოვილ იქნა -- -- სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ -- -- შვილად აყვანის აქტი №-- და -- აღმასკომის -- --№-- გადაწყვეტილება, ასევე, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას წარდგენილი სრული დოკუმენტაცია. 18 ოქტომბერს და 5 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ სასამართლოში გამოთხოვილი დოკუმენტები წარადგინა.

2022 წლის 11 იანვარს სასამართლომ მიიღო განჩინება მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ. კერძოდ, -- მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოთხოვილ იქნა -- -- შვილად აყვანის საქმეზე -- -- მიღებული გადაწყვეტილების საფუძველად არსებული დოკუმენტები სრულად. 2022 წლის 18 თებერვალს -- მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სასამართლოში წარდგენილი განცხადების თანახმად, განჩინებით გამოთხოვილი დოკუმენტები არქივში დაცული არ არის.

2022 წლის 18 მარტს სასამართლომ მიიღო განჩინება მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ. კერძოდ, საქართველოს ეროვნული არქივიდან გამოთხოვილ იქნეს -- -- შვილად აყვანის საქმეზე -- -- მიღებული გადაწყვეტილების საფუძველად არსებული დოკუმენტები სრულად. 4 აპრილს საქართველოს ეროვნულმა არქივმა სასამართლოში გამოთხოვილი დოკუმენტები წარადგინა.

2022 წლის 17 მაისს სასამართლომ, -- -- წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, მიიღო განჩინება -- -- განცხადებაზე -- -- სასამართლოს №-- საქმეზე გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ საქმის წარმოების შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული წესით განსახილველ №-- საქმეზე (მოსარჩელე - -- --, მოპასუხე - -- სამოქალაქო რეესტრის სამსახური, მესამე პირი - -- --, დავის საგანი - შვილად აყვანის ბათილად ცნობა, განმხილველი სასამართლო - -- სასამართლო) და სამოქალაქო წესით განსახილველ №-- საქმეზე (მოსარჩელე - -- --, მოპასუხე - -- --, დავის საგანი - შვილად აყვანის

ბათილად ცნობა, განმხილველი სასამართლო -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია) საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

2.2. 2022 წლის 1 ივნისს -- წარმომადგენელმა -- სასამართლოს 2022 წლის 17 მაისის განჩინების გასაჩივრების მიზნით კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში. 2022 წლის 21 ივნისს კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაეცა -- სააპელაციო სასამართლოს.

2022 წლის 1 ივლისს -- სააპელაციო სასამართლომ მიიღო განჩინება კერძო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ. 2022 წლის 29 აგვისტოს -- სააპელაციო სასამართლომ მიიღო განჩინება კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

ა) საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მოსამართლემ დააკმაყოფილა -- -- შუამდგომლობა მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ, რითაც მხარეს დაეხმარა შვილად აყვანის საბუთების მოპოვებაში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, ვისთანაც უნდა იყოს ისინი. შესაბამისად, მოცემულ საკითხზე მსჯელობა მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს, რაც დისციპლინური სამართალწარმოების დროს მსჯელობის საგანი ვერ გახდება.

ბ) ამასთან, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ 2022 წლის 12 აპრილის სასამართლო სხდომაზე არ განუმარტა მხარეებს ვინ იყო სხდომის მდივანი და ჰქონდათ თუ არა აცილების შუამდგომლობა. საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ მოსამართლემ პირველ სასამართლო სხდომაზე მხარეებს გამოუცხადა სასამართლოს შემადგენლობა და განუმარტა აცილების უფლება. 2022 წლის 12 აპრილს გამართულ სასამართლო სხდომაზე კი გამოცხადდნენ იგივე პირები, რომელთათვისაც მოსამართლეს უკვე ჰქონდა მიცემული განმარტება სასამართლოს შემადგენლობისა და აცილების უფლების შესახებ.

გ) რაც შეეხება, საჩივრის ავტორის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ მოსამართლემ ისე დანიშნა საქმეზე მთავარი სხდომა, რომ მხარეებისთვის არ განუმარტავს, მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამართლე მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში ნიშნავს სასამართლოს მთავარ სხდომას საქმის არსებითი განხილვისათვის, რის შესახებაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობებათ მხარეებს. მოცემულ საქმეზე, სასამართლო გაეცნო განცხადებას, თანდართულ მასალებს და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი მასალები საკმარისი იყო, რათა საქმე მიჩნეულიყო მომზადებულად. შესაბამისად, 2021 წლის 1 ივნისს სასამართლომ სატელეფონო შეტყობინების გზით მხარეებს აცნობა საქმის არსებითად განსახილველად სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ.

დ) სხდომის ოქმში დაფიქსირებული შეცდომის შესახებ (2022 წლის 11 მაისის სასამართლოს სხდომის ოქმში მოსამართლეს მთავარი სხდომის ნაცვლად შეცდომით მითითებული აქვს მოსამზადებელი სხდომა), საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 291-ე მუხლის თანახმად, მხარეს აქვს შესაძლებლობა სხდომის ოქმთან დაკავშირებით შენიშვნები წარადგინოს სასამართლოში, ამდენად, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა და საჭიროებისამებრ ტექნიკური ხასიათის შეცდომის არსებობისას, შესაბამისი განჩინების მიღება სასამართლოს უფლებამოსილებას წარმოადგენს.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. -- -- 2022 წლის 27 ივნისის №112 საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2 და 1.3. პუნქტები).
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №112/22 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- - - მიმართ, დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1 პუნქტი).

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი